კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ ქალაქ გორის მე-10 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	ქ. გორის მეათე საჯარო სკოლის, მე-2 გ კლასი.
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ჩემს მოსწავლეებთან ერთად განვიხილეთ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების, „ოთარაანთ ქვრივის“ ეპიზოდი, სადაც ჩანს თუ როგორ განკარგავდა ქვრივი თავის ფინანსებს ქისების დახმარებით.
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ [ფინედუს ვებგვერდს](#))*	ჩვენს აქტივობაში განვიხილეთ ფინანსური განათლების ისეთი თემები, როგორებიცაა: ფული, დაზოგვა, პირადი ფინანსების მართვა, ქველმოქმედება და ინვესტიცია.
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	ლიტერატურის განხილვა მრავალფეროვანი და საინტერესო გამოგვივიდა, რადგან სწავლების არაერთი მეთოდი გამოვიყენეთ. მაგალითად, ცხელი სკამის მეთოდი, დისკუსია, კეთებით სწავლება, სიტუაციის გათანამედროვება. შევეცადეთ და ვფიქრობ, გამოგვივიდა წარსულისა და აწმყოს ერთმანეთთან დაკავშირება.

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	ფულის ხარჯვის პროცესი ჩემს მოსწავლეების ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია. მათი ასაკის დათვალისწინებით ისინი ძირითადად დამოუკიდებლად ფულს მაღაზიაში ან სკოლის ბუფეტში ხარჯავენ. ჩემი დაკვირვებით მოსწავლეებთა უმეტესობას ამ ასაკში არ აქვთ თანხის სწორად განაწილების,საჭირო ოდენობით ხარჯვის, დაზოგვის უნარები, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი უნარებია ადამიანის ცხოვრებაში, ამიტომ გადავწყვიტე ამ პროექტის განხორციელება. პროექტის ფარგლებში კლასში განვიხილეთ და გავეცანით ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების, „ოთარაანთ ქვრივის“ ხუთი ჭრელაჭრულა ქისის ეპიზოდი. მოსწავლეებს შევთავაზე ეპიზოდის მოდიფიცირებული ვერსია. მოვაწყვეთ დისკუსია, სადაც მოსწავლეებს საშუალება მიეცათ ესაუბრათ საკუთარ გამოცდილებაზე , გამოეხატათ აზრი. გამოვიყენეთ ცხელი სკამის მეთოდი. მოსწავლე ჯდებოდა სკამზე , დანარჩენები კი ოთარაანთ ქვრივის ქისების სახელწოდებებს ადა მნიშვნელობებზე ეკითხებოდნენ. როდესაც დავრწმუნდი , რომ ბავშვებს ქვრივის ხუთი ქისის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ, გადავწყვიტეთ ჩვენც შეგვექმნა ხუთი ქისა მოსწავლეების ასაკის, განსხვავებული საჭიროებებისა და სურვილების გათვალისწინებით. ერთობლივად გამოვკვეთეთ ხუთი ძირითადი მიმართულება: 1. თანხა ბუფეტისთვის; 2. ოჯახში დასახარჯად და პირადი მოხმარებისთვის. 3.დანაზოგისთვის; 4.საკანცელარიო ნივთებისთვის; 5.ქველმოქმედებისთვის. სიმბოლურად შევქმენით, დავამზადეთ ქისები, რომლებიც განვათავსეთ ფორმატზე, გავუკეთეთ შესაბამისი სახელწოდებები ქისების დანიშნულებების მიხედვით და გავაკარით თვალსაჩინო ადგილას.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	საბოლოოდ დავასკვენით, რომ ბიუჯეტის განკარგვის ოთარაანთ ქვრივისეული მეთოდი-მიგნება ერთ-ერთი საუკეთესოა თანხის დაზოგვისა და სწორად განაწილებისთვის. მიუხედავად ბიუჯეტის რაოდენობისა თუ ოთარაანთ ქვრივის მსგავსად გამოვიმუშავებთ ფულის სწორად განაწილების უნარ-ჩვევებს მომავალში აღარ შეგვექმნება ფულთან ურთიერთობისას გაუთვალისწინებელი პრობლემები.